საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/94

ქ. ბათუმი 22 აგვისტო, 2023 წ.

ბსუ-ში სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნებისა და ფუნქციონირების ჩარჩო დებულების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2024 წ.), ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს რეგლამენტის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 23 0001017303, 21.08.2023) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს „**ბსუ-ში სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნებისა და ფუნქციონირების ჩარჩო დებულება” (დანართი 1).**
2. წინამდებარე წესთან შესაბამისობაში მოვიდეს ბსუ-ში მოქმედი სერიული გამოცემების (სამეცნიერო ჟურნალების) საქმიანობა.
3. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ღია წვდომის ჟურნალების ელექტრონული OJS სისტემის (შემდგომში - „ელექტრონული სისტემა“) გამართვა ბსუ-ს ჰოსტინგზე.
4. დადგენილების ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს გამომცემლობას, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და პერსონალს.
6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ., №32.).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ში სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნებისა და ფუნქციონირების ჩარჩო
დებულების დამტკიცების თაობაზე“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს
2023 წლის 22 აგვისტოს №06-01/94 დადგენილების
დანართი 1

ბსუ-ში სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნებისა და ფუნქციონირების ჩარჩო დებულება

მუხლი. 1 ზოგადი დებულებები

1. „ბსუ-ში სამეცნიერო ჟურნალის (შემდგომში - „ჟურნალი“) დაფუძნებისა და ფუნქციონირების ჩარჩო დებულება (შემდგომში - ,,ჩარჩო დებულება“) არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - ,,ბსუ“ ან ,,უნივერსიტეტი“) სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნებისა და ფუნქციონირების პროცედურებს.

2. ბსუ-ს ჟურნალის დაფუძნების შესახებ ბრძანებას გამოსცემს **ბსუ-ს რექტორი,** საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე ჩარჩო დებულების მოთხოვნათა დაცვით.

3. ბსუ-ს ჟურნალის ფუნქციონირება (საქმიანობა) წარიმართება საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე ჩარჩო დებულების მოთხოვნათა დაცვით.

4. ამ ჩარჩო დებულების საფუძველზე დაფუძნებული ჟურნალი გამოიცემა პერიოდულობით (წელიწადში არანაკლებ ერთხელ), ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე. ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი გამოიცემა ღია წვდომის ჟურნალების ელექტრონული OJS სისტემის (შემდგომში „ელექტრონული სისტემა“ - https://ojs.bsu.edu.ge) საშუალებით.

მუხლი 2. ჟურნალის დაფუძნება

1. ჟურნალის დაფუძნების ინიციატივა უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი მიმართულებით მიმდინარე სამეცნიერო პროდუქტულობის ანალიზს, სხვა სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის გამოცდილებას და უნდა შეესაბამებოდეს ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის შესაბამისად განსაზღვრულ ძირითად სამეცნიერო კვლევით მიმართულებას.

2. ჟურნალის დაფუძნების ინიციატორი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭო, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი) სამეცნიერო საბჭო ან/და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

3. ჟურნალის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილების/სამართლებრივი აქტის გათვალისწინებით, ბსუ-ს **რექტორის ბრძანებით** (შეთანხმებული ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ბსუ-ს რექტორის მოადგილესთან, ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურთან, ბსუ-ს გამომცემლობასთან) განისაზღვრება:

ა) ჟურნალის მისია, მიზნები და ამოცანები;

ბ) ჟურნალის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

გ) ჟურნალის ოფიციალური ვებგვერდის მისამართი და ელექტრონული ფოსტა;

დ) ჟურნალის სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა და ჟურნალის მთავარი რედაქტორი;

ე) ჟურნალის რედაქციის შემადგენლობა და ჟურნალის ტექნიკური რედაქტორი.

4. ჟურნალის სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში შედის ბსუ-ს, საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო/სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის პირები (არანაკლებ 5 წევრი), მათ შორის თავმჯდომარე - ჟურნალის მთავარი რედაქტორი და ტექნიკური რედაქტორი.

5. ჟურნალის თემატიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია, სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში შევიდეს დარგის პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი.

6. ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, ჟურნალის მთავარი რედაქტორი წერილობით მიმართავს რექტორს, ბსუ-ს გამომცემლობის მიერ ახალდაფუძნებული სერიული გამოცემისათვის (სამეცნიერო ჟურნალისათვის) პერიოდული გამოცემების საერთაშორისო სტანდარტული ნომრის, ISSN ან/და E-ISSN მისაღებად.

მუხლი 3. ჟურნალის მართვა

1. ჟურნალის მართვის ორგანოა სარედაქციო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს ჟურნალის მთავარი რედაქტორი;

2. ჟურნალის საქმიანობის ორგანიზაციულ (ტექნიკურ) აქტივობებს ახორციელებს ჟურნალის რედაქცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ჟურნალის ტექნიკური რედაქტორი;

3. ჟურნალის სარედაქციო საბჭო:

ა) ადგენს სარედაქციო პოლიტიკას, რომელიც მოიცავს: საავტორო უფლებებს; ლიცენზირებისა და წვდომის ტიპებს; დაარქივების, თვითარქივირების, მსგავსების დეტექტირებისა და საჩივრის განხილვის პროცედურებს, ასევე - ახდენს სტატიის გამოცემის მოსაკრებლის (საფასურის) დადგენის ინიცირებას;

ბ) შეიმუშავებს საგამომცემლო ეთიკის ნორმებს, რაც ითვალისწინებს რედაქტორის ვალდებულებებს, ავტორთა უფლება-მოვალეობებს, შემფასებელთა უფლება-მოვალეობებს, ინტერესთა კონფლიქტს;

გ) შეიმუშავებს შეფასებისა და გასაჩივრების პროცედურებს;

დ) ადგენს ნაშრომის/სტატიის ავტორთა სახელმძღვანელოს (ე.წ. ,,გაიდლაინს“), რომელიც მოიცავს: სტატიის წარმოდგენის ტექნიკურ პარამეტრებს, სტატიის სტრუქტურასა და ლიტერატურის დამოწმების წესებს, ილუსტრაციების წარმოდგენის ინსტრუქციას და სხვა.

4. სარედაქციო საბჭოს <u>უფლებამოსილია:</u>

ა) შეარჩიოს ჟურნალის გამოცემისთვის თემატური ან/და დარგობრივი მიმართულება, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი მიმართულების რედაქტორი/ ტომის/ნომრის რედაქტორი;

ბ) რეცენზიების განხილვის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება სტატიის გამოქვეყნების ან გამოქვეყნებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) განიხილოს ავტორთა საჩივრები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

დ) საბჭოს სხდომა გახსნილად გამოაცხადოს თუკი მას ესწრება ნახევარი მაინც (ანუ თუ შედგა კვორუმი) (სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს შემადგენლობის ¾-ის თანხმობით. დასაშვებია სარედაქციო საბჭოს სხდომების დისტანციურად ან/და შერეული ფორმატით ჩატარება).

5. ჟურნალის რედაქცია ორგანიზებას უწევს:

ა) სარედაქციო საბჭოს სხდომების გამართვას;

ბ) გამოსაქვეყნებელი სტატიების მიღების, შერჩევის, ტექნიკური რედაქტირებისა და გამოქვეყნების პროცედურებს;

გ) ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურთან თანამშრომლობით სტატიის მსგავსების დეტექტირების პროგრამაზე შემოწმებას.

მუხლი 4. ჟურნალის მთავარი რედაქტორი და ტექნიკური რედაქტორი

1. ჟურნალის მთავარი რედაქტორი ვალდებულია:

ა) ნაშრომების მიღების საკითხის გადაწყვეტის დროს იხელმძღვანელოს ამ ჩარჩო დებულებით ან/და სარედაქციო საბჭოს მიერ დადგენილი მოთხოვნებით/ძირითადი კრიტერიუმებით;

ბ) ჟურნალის საქმიანობის ფარგლებში ხელი შეუწყოს აკადემიური თავისუფლების პრინციპის დაცვას;

გ) გადაწყვეტილებები მიიღოს თანასწორობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების გათვალისწინებით, განურჩევლად ავტორის რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური აღმსარებლობის, ეროვნების, მოქალაქეობისა და პოლიტიკური შეხედულებისა და უზრუნველყოს სარედაქციო აქტივობების გამჭვირვალობა;

ე) უზრუნველყოს პერსონალური და გამოსაცემად მიღებული მასალების შესახებ ინფორმაციის დაცვა.

2. ჟურნალის ტექნიკური რედაქტორი ვალდებულია:

ა) საქმიანობის დროს იხელმძღვანელოს ამ ჩარჩო დებულებით, ასევე სარედაქციო საბჭოს მიერ დადგენილი მოთხოვნებით/ძირითადი კრიტერიუმებით;

ბ) უზრუნველყოს გამოსაქვეყნებელი ჟურნალის ტომის/ნომრის თემატიკისა და მოთხოვნების ჟურნალის ვებგვერდზე განთავსება;

გ) უზრუნველყოს გამოსაქვეყნებელი ჟურნალის ტომის/ნომრის სამუშაო ვერსიის მომზადება;

დ) უზრუნველყოს გამოსაქვეყნებელი ჟურნალის ტომის/ნომრის ტექნიკური რედაქტირების კოორდინაცია;

ე) უზრუნველყოს პერსონალური და გამოსაცემად მიღებული მასალების შესახებ ინფორმაციის დაცვა.

მუხლი 5. თემატური/დარგობრივი მიმართულებები და ნაშრომის რეცენზირება

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად წარდგენილი სტატიების შერჩევისა და რეცენზირების პროცედურაზე პასუხისმგებელია ჟურნალის სარედაქციო საბჭოს მიერ განსაზღვრული თემატური/დარგობრივი მიმართულების რედაქტორი, /ტომის/ნომრის რედაქტორი;

2. თემატური/დარგობრივი მიმართულების რედაქტორი, /ტომის/ნომრის რედაქტორი ან/და პასუხისმგებელი პირი უნდა იყოს ბსუ-ს, საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო/სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური ან/და სამეცნიერო თანამდებობის პირი.

3. ჟურნალში გამოქვეყნებისთვის წარმოდგენილი სტატია, რომელიც შეესაბამება ჟურნალის სტანდარტებს და შემოწმებულია მსგავსების დეტექტირების პროგრამაზე, სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის/მთავარი რედაქტორის მიერ ეგზავნება შესაბამის დარგობრივ მიმართულებას, <u>ფარული რეცენზირებისთვის.</u> დარგობრივი მიმართულების

რედაქტორის მიერ შეირჩევა რეცენზენტი, რომელმაც **6 კვირის** ვადაში უნდა უზრუნველყოს ნაშრომის რეცენზირება.

4. თემატური/დარგობრივი მიმართულების რედაქტორი,/ტომის/ნომრის რედაქტორი, წარმოდგენილი რეცენზიის განხილვის საფუძველზე რეკომენდაციას უწევს სარედაქციო საბჭოს სტატიის გამოქვეყნების მიზანშეწონილობის შესახებ.

მუხლი 6. ელექტრონული სისტემის (OJS) **მართვა**

1. ბსუ-ს **ელექტრონული** სამეცნიერო ჟურნალის დაფუძნებისა და ფუნქციონირების შემთხვევაში ღია წვდომის ჟურნალების ელექტრონული OJS სისტემის მართვაზე პასუხიმგებელია ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.

2. ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი სამსახურის პერსონალის შემადგენლობიდან განსაზღვრავს ელექტრონული სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს (შემდეგში - ელ.სისტემის **ადმინისტრატორი);**

3. ელექტრონული სისტემის ადმინისტრატორი უზრუნველყოფს:

ა) სისტემის ტექნიკურ გამართულობას;

ბ) საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან სისტემის ინტეგრირებას;

გ) ბსუ-ს რექტორის სამართლებრივი აქტით დაფუძნებული სამეცნიერო ჟურნალის შესაბამისი მომხმარებლის მომზადებას და გადაცემას ჟურნალის ტექნიკური რედაქტორისთვის;

დ) სამეცნიერო ჟურნალის ტექნიკური მართვის ინსტრუქციის მომზადებას და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების გაწევას.

4. სამეცნიერო ჟურნალის ტექნიკურ მართვაზე პასუხისმგებელია ჟურნალის ტექნიკური რედაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) ჟურნალის ტექნიკური მოთხოვნების სისტემაში ატვირთვას;

ბ) გამოსაქვეყნებელი ტომის/ნომრის რედაქტირებული ვერსიის საჯაროდ გამოქვეყნებას.

მუხლი 7. გარდამავალი დებულება

1. წინამდებარე დებულების ამოქმედების შემდეგ ბსუ-ს გამომცემლობა უნდა უზრუნველყოს მის მიერ გაცემული ISSN ან/და E-ISSN ნომრით არსებული სერიული გამოცემების (სამეცნიერო ჟურნალების) შესახებ ინფორმაციის უნივერსიტეტის რექტორისათვის წარდგენა;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სერიული გამოცემების (სამეცნიერო ჟურნალების) შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა (ფაკულტეტის საბჭომ ან/და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი) სამეცნიერო საბჭომ) უნდა უზრუნველყონ სერიული გამოცემების (სამეცნიერო ჟურნალების) საქმიანობის წინამდებარე წესთან შესაბამისობაში მოსაყვანად სათანადო ღონისძიებების გატარება;

3. დასაშვებად ჩაითვალოს ჟურნალის -**„აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“** - გამოცემა როგორც https://ojs.bsu.edu.ge , ასევე - https://openjournals.ge პლატფორმაზე.